ნინო მაისურაძე *

მიხაკო წერეთელი და ერის ცნების გააზრება მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში („ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“)

ანოტაცია

ეროვნული საკითხის შესახებ ქართველი მოაზროვნეების მოსაზრებების შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიხაკო წერეთლის კონცეფცია ერის ცნების შესახებ. მიხაკო წერეთელი ანარქისტთა იმ ნაწილს მიეკუთვნებოდა, რომელიც იდეოლოგიური შეხედულებების მიუხედავად ეროვნულ საკითხს ყოველთვის მიიჩნევდა პრიორიტეტულად. მიხაკო წერეთელი ნათელი და იშვიათი მაგალითი იყო იმის, თუ როგორ მოახერხა ქართველმა მოაზროვნემ საკუთარ იდეოლოგიაზე მაღლა დაეყენებინა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი; 2) მიხაკო წერეთელს ეკუთვნის პირველი სოციოლოგიური გამოკვლევა საქართველოში - *„ერი და კაცობრიობა“* (1910 წ.), რომელშიც ავტორი ცდილობს ერის და კაცობრიობის კატეგორიების გაანალიზებას; 3) განსაკუთრებით საყურადღებოა, მიხაკო წერეთელზე მისი თანამედროვე ევროპელი მოაზროვნეების, განსაკუთრებით სოციოლოგების, გავლენა. ერის ცნების ფორმირებისას ის განიხილავს ევროპაში იმ დროს არსებულ ერის თეორიებს და სხვადასხვა მოაზროვნეთა (სოლომონ რეინაკი, ერნესტ ნისი, პასკვალე სტანისლაო მანჩინი, იოჰან კასპარ ბლუნჩლი, ერნესტ რენანი, დე-გრეფი, რენე ვორმსი, ტარდი, ოტტო ბაუერი, რუდოლფ შპრინგერი…) შეხედულებების კრიტიკის ან ნაწილობრივ მიღების საფუძველზე აყალიბებს ერის საკუთარ კონცეფციას.

საკვანძო სიტყვები: მიხაკო წერეთელი, ერის ცნება, ერის თეორიები, ეროვნული საკითხი.

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი

შესავალი

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი ცნობილი ქართველი მეცნიერი, პუბლიცისტი, ფილოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. ის თავდაპირველად იზიარებდა ანარქისტულ იდეოლოგიას. შემდეგ კი შეუერთდა სოციალ-ფედერალისტებს. ძირითადად მოღვაწეობდა საზღვარგარეთ. მიხაკო წერეთელი ეცნობოდა კარლ მარქსის იდეებსაც, მაგრამ მარქსით გატაცება მისთვის დროებით იყო. საქართველოში მიხაკო წერეთელი 1907 წელს ბრუნდება, რა დროსაც ის უკვე ეროვნული პოზიციის დამცველია. მკვლევართა ნაწილი, რომელიც სწავლობდა მიხაკო წერეთლის მოღვაწეობას, აღნიშნავდა, რომ მას ანარქიზმი რეალურად არასდროს გადაულახავს. უბრალოდ, შეიცვალა მისი ამოცანა და მთავარი მიზანი გახდა ანარქიზმის ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნება, რადგან მიხაკო წერეთლისათვის ყოველგვარი მოძრაობის განმსაზღვრელი სწორედ ეროვნული ნიადაგი იყო. (სამსონია, 2014)

1910 წელს გამოქვეყნდა მისი ცნობილი ნაშრომი *„ერი და კაცობრიობა“,* რომელიც პირველი სოცილოგიური გამოკვლევაა საქართველოში. გასათვალისწინებელია XX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ის იდეოლოგიური ბრძოლის ფონი, რომლის დროსაც შეიქმნა *„ერი და კაცობრიობა“.* ნაშრომში ავტორის პათოსი მიმართულია, როგორც რუსი შოვინისტების, ისე ქართველი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რადგან ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის ამ პერიოდში დამახასიათებელი იყო ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტური მიდგომა. მიხაკო წერეთლისთვის ერი უპირველესი ფასეულობა იყო, მაგრამ მისთვის ეროვნული პოზიციის დაცვა არ გამორიცხავდა ინტერნაციონალიზმს. მსგავს პოზიციაზე იდგა ქართველი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილიც, რომლის ეროვნულმა პოზიციამ დიდი გავლენა მოახდინა მიხაკო წერეთლის ეროვნულ შეხედულებებზე. *„ერი და კაცობრიობა“* მიხაკო წერეთელმა სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილს მიუძღვნა.

აღსანიშნავია, თავად მიხაკო წერეთლის გავლენა მის თანამედროვე ქართველ მოაზროვნეებზე. ერის ცნების განხილვისას ისინი ხშირად ეყრდნობოდნენ მის მოსაზრებებს. ამის შესანიშნავი მაგალითია სიმონ ხუნდაძე, რომელიც სტატიაში *„ეროვნული პრობლემის გარშემო“* ეროვნული თემის ირგვლივ შექმნილ უცხოელ ავტორთა შეხედულებებს აანალიზებს, ქართველი მოაზროვნეებიდან კი მხო-

ლოდ მიხაკო წერეთელს განიხილავს და იმოწმებს მას საერთაშორისო სამართლის წინაშე ერთა შორის თანასწორობაზე მსჯელობის ნაწილში. (ხუნდაძე, 1926, გვ. 249)

დიდი იყო ის გამოხმაურებაც, რაც „ერი და კაცობრიობის“ გამოქვეყნებას მოჰყვა. საყურადღებოა არჩილ ჯორჯაძის მოსაზრება, რომელიც წიგნის დადებითად შემფასებელთა შორის იყო და 1910 წელს გამოცემულ ვრცელ სტატიას *„კარგი წიგნი“* მთლიანად *„ერსა და კაცობრიობას“* უძღვნიდა. არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებით, *„ერი და კაცობრიობა“* დიდ თეორიულ ნაშრომთან ერთად წარმოადგენს პრაქტიკული პოლიტიკის საფუძველს. არჩილ ჯორჯაძე სოლიდარობას უცხადებდა ავტორს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც მიხაკო წერეთელი აღნიშნავს, რომ კლასობრივი ბრძოლა ვერ ყოფს ერს და ნაწილების დაპირისპირება ვერ არღვევს ერთობას. საინტერესოა, რომ ამ სტატიის შექმნის პერიოდში ანარქისტები უკვე აღარ შედიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტების რიგებში, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ამ გამოკვლევაში მაინც ხედავდა საკუთარი აზრების დადასტურებას. (ახობაძე, 1965, გვ. 275-276)

ერის ცნება

მიხაკო წერეთელი, საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დროს, შეცდომის დაშვებისგან თავის ასარიდებლად ცდილობდა ტერმინთა ზუსტი შინაარსების განსაზღვრას. ცნებათა ზუსტი დეფინიცია მისთვის არგუმენტირებული და მართებული მსჯელობის საფუძველია. სწორედ ამიტომ, ის ნაშრომში *„ერი და კაცობრიობა“* ერის ცნების გაანალიზებამდე ეტაპობრივად განიხილავს ერის ცნებასთან კავშირში მყოფ სხვა ცნებებს. მის მიერ განხილული ტერმინებიდან მთავარია კაცობრიობა, რომელიც, ავტორის აზრით, არ არის სოციალური ფაქტი, ის არ არსებობს არც სოციალურად და არც ზოგადად. სოციალური ფაქტის მთავარი მახასიათებელი ადამიანების გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრებაა, რის შედეგადაც იქმნება სხვადასხვა მიმართულების „ორგანოება“, ანუ ინსტიტუტები, რომელთა ფუნქციაც საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა. კაცობრიობას ასეთი არსებობა არ ახასიათებს. კაცობრიობა არ არის არც საზოგადოება, რადგან მას არ აქვს ერთიანი ორგანოები. (წერეთელი, 1990, გვ. 17)

ავტორის მოსაზრებით, ყველაზე კარგად კაცობრიობის ფიქციურობა პოლიტიკური ორგანოების განხილვისას ჩანს. პოლიტიკური ორგანოები თვალსაჩინოდ გვაჩვენებენ, რომ კაცობრიობა ამ მხრივ არარეალურია, რადგან არ არსებობს ერთი საკაცობრიო სახელმწიფო, არამედ არსებობენ სახელმწიფოები. კაცობრიობას არ აქვს საერთო ფუნქციები და მიზნები.

რატომ სჭირდება მიხაკო წერეთელს კაცობრიობის უარყოფა? ეს მისთვის იყო ერთგვარი საშუალება საიმისოდ, რომ სოციალური ერთობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ერი, დაესახა ღირებულებათა ორიენტაციების ამოსავლად და იდეალად. მიხაკო წერეთელი ერის, როგორც რეალური სოციალური ორგანიზმის, ორ ძირითად ნიშანს გამოჰყოფდა: 1. ენას; 2. პოლიტიკურ ორგანოებს, ე.ი. სახელმწიფოებრიობას. ავტორი კაცობრიობის უარყოფის შემდეგ გადადის ერის ანალიზზე და მისი რეალობის დასაბუთებაზე. ესაა ერთგვარი კონტრასტული მსჯელობა, ორი ცნების ერთმანეთთან შედარება და მათი განსხვავების ჩვენება, რის შემდეგაც უპირატესობას ანიჭებს ერთ ცნებას, მეორის უარყოფის საფუძველზე. მისი დასკვნა ასეთია: ერი ერთი მთლიანი ორგანიზმია, კაცობრიობა კი არა.

კაცობრიობის შესახებ მის ასეთ მოსაზრებას დიდი კრიტიკა მოჰყვა. 1910 წელს გამოქვეყნებულ *„ერს და კაცობრიობას“* აკაკი ჩხენკელმა 1912 წელს უპასუხა ნაშრომით *„ერი თუ კაცობრიობა“,* სადაც გაკრიტიკებულია მიხაკო წერეთლის დოგმატიზმი, რადგან მისთვის მეტადაა დამახასიათებელი აბსოლუტური მსჯელობა, ვიდრე რელატიური აზროვნება. აკაკი ჩხენკელის აზრით, ერის და კაცობრიობის არსებობა ერთდროულადაა შესაძლებელი და არ უნდა მოხდეს მათი განხილვა, როგორც ანტიპოდების. თავად ერები ვერ ძლებენ ერთმანეთთან კონტაქტის გარეშე. ამით შედიან ისინი ერთ საკაცობრიო ორგანიზმში. ერი არსებობს მატერიალურად, მაგრამ კაცობრიობა იდეოლოგიურად. აკაკი ჩხენკელს კაცობრიობის სოციალური ფიქციობის საწინააღმდეგოდ მოჰყავს ევროპის მაგალითი. ევროპის ერების სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ გამორჩეულია. ეს, რა თქმა უნდა, არ არის დასრულებული კაცობრიობის მოდელი, რასაც სოციალ-დემოკრატი თავადაც უსვავს ხაზს, მაგრამ ტენდენცია, რომელსაც ავლენენ ევროპაში ერები ნათელი მაგალითია იმ მიდრეკილების, რომელიც აქვთ ერებს ერთმანეთის მიმართ. აკაკი ჩხენკელის ჰიპოთეზით კაპი-

ტალისტურ ეპოქაში მოხდებოდა ევროპის ერთ სოციალურ ორგანიზმად ჩამოყალიბება. (ჩხენკელი, 2000, გვ. 58)

ასევე, საყურადღებოა ვახტანგ ერქომაიშვილის მიერ კრიტიკა მიხაკო წერეთლის კაცობრიობის ფენომენის გააზრების კრიტიკა. ვახტანგ ერქომაიშვილი, მიხაკო წერეთლის საპირისპიროდ, ამტკიცებს, რომ კაცობრიობა არსებობს, მაგრამ არა განყენებულად, ერებისაგან დამოუკიდებლად, არამედ როგორც მათი ერთობლიობა. კაცობრიობა მათი ერთიანობა კი არაა, არამედ ერების მრავალფეროვნებაა. ყოველი ერი განსაკუთრებულია და თავისი წვლილი შეაქვს საერთო-საკაცობრიო კულტურაში: ზოგს - მეტი, ზოგს - ნაკლები, მაგრამ რაც არ უნდა უმნიშვნელო წვლილი შეიტანოს ერმა საკაცობრიო კულტურაში, იგი მარტო თავისი არსებობითაც კი მისი განუყოფელი ნაწილია, რადგან ერთადერთია, უნიკალურია, ინდივიდუალურია. ვახტანგ ერქომაიშვილის მოსაზრებით, მიხაკო წერეთელმა სწორად მიუთითა და აჩვენა ერსა და კაცობრიობას შორის განსხვავება, მაგრამ აქედან არასწორი დასკვნა გააკეთა, როცა კაცობრიობა სოციალურ ფიქციად გამოაცხადა. (ერქომაიშვილი, 2000)

კაცობრიობის ცნების გარდა მიხაკო წერეთელი განიხილავს კიდევ რამდენიმე ცნებას ერთან მიმართებაში. მისთვის სახელმწიფოს, ერის და საზოგადოების ცნებები ერთი და იგივე არ არის. საზოგადოება აბსტრაქტული ცნებაა განსაზღვრული ბუნების მოვლენისა, ერი კი კონკრეტული მაგალითია ამ მოვლენის არსებობისა. სახელმწიფოს ცნება აგრეთვე განსხვავდება ამ ორი ზემოთ დასახელებული ცნებისაგან. სახელმწიფო თავდაპირველად ორგანიზაცია იყო, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორეზე ბატონობას, შემდეგ ის გახდა იმ დაწესებულებების ჯამი, რომლითაც ერი აყალიბებს ერთ განსაზღვრულ, ძალდატანებით საზოგადოებრივობას. მაგრამ შეიძლება ერს საზოგადოებრივობის სხვა ფორმა ჰქონდეს - მაგ. თავისუფალი ფორმა, რომელიც მომავალი იდეალია ადამიანთა საზოგადოების. საზოგადოება შეიძლება სახელმწიფოს გარდა სხვა ფორმითაც არსებობდეს. სახელმწიფო ამასთანავე უფრო მექანიკური კავშირია ადამიანებს შორის, ვიდრე ერი, რომელიც ადამიანების ორგანული, ბუნებრივი კავშირია. (წერეთელი, 1990, გვ. 85-86)

სახელმწიფოს ცნების განხილვის დროს ნათელი ხდება ის ნეგატიური განწყობა, რომელიც მიხაკო წერეთელს აქვს სახელმწიფოსადმი. რთულია ვისაუბროთ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1907

წ.), მიხაკო წერეთლის მხრიდან ანარქიზმის დაძლევაზე, როცა ის თვლის, რომ ერის საზოგადოებრივი ფორმის იდეალი თავისუფალი ფორმაა, ის ამავე დროს ამტკიცებდა, რომ საზოგადოებას შეუძლია სახელმწიფოს გარეშე არსებობა.

დაწვრლებით განვიხილოთ სახელმწიფოს როლი ერის ჩამოყალიბებაში. ორი გზით შეუძლია სახელმწიფოს ეროვნების შექმნაში მონაწილეობის მიღება: 1) სახელმწიფო განცალკევებული, მაგრამ ერთგვარი საზოგადოებების შეერთებით ქმნის ერს. ეს ან ნებაყოფლობით ხდება, ან ცენტრალური სახელმწიფო ძალის განვითარებით, საიდანაც ჩნდება ეროვნული სახელმწიფო. შეერთებამდე ეროვნული თვითშეგნება არ არის ან სუსტადაა განვითარებული. დროთა განმავლობაში ერთი სახელმწიფოს შიგნით ერთად ცხოვრების გამო ვითარდება ერთი ეროვნული თვითშეგნება. მჭიდრო კავშირი ერის ნაწილებს შორის მაშინ არსებობს, თუ ამ კავშირის განმამტკიცებელი ცენტრალური ძალა ცდილობს შეძლებისდაგვარად ყველა ადგილობრივი ინტერესების დაცვას და არ კლავს ადგილობრავ თავისუფლებას; 2) მეორე გზა არის დიდი ერის მიერ პატარა ერების ან რასების დაპყრობა და მათი ასიმილაცია სახელმწიფოს მიერ. ასიმილაციის პროცესის დასრულების შემდეგ პატარა ერს დაკარგული აქვს ყველაფერი ეროვნული და ერწყმება დამპყრობელი ერის სოციალურ ცხოვრებას. (წერეთელი, 1990, გვ. 88)

განსაკუთრებით საინტერესოა მიხაკო წერეთლის მოსაზრება, რომ სახელმწიფომ შეიძლება შექმნას ერი, მაგრამ უმეტესად თავად ერი ქმნის სახელმწიფოს. ერს აქვს სახელმწიფოს შექმნის უნარი. სწორედ ერი წარმოშობს სახელმწიფოს. ერი არის კონკრეტული საზოგადოება, რომელსაც შეუძლია შექმნას სახელმწიფო ან თავის საკუთარი ელემენტების შემოქმედებით, ან სხვა ერების დაპყრობით. სახელმწიფო, მისი აზრით, არ არის ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი, ის ერის მიერ ხელოვნურად შექმნილი სოციალური ორგანიზმია. თავად ერი კი არის სოციალური მონადა, რომელსაც აქვს თავის დაცვის და შენახვის ინსტიქტი. (წერეთელი, 1990, გვ. 12)

ერის მონადად დასახვა კარგი ანალოგიაა იმის დასანახად თუ რა შინაარს დებდა მიხაკო წერეთელი ერის ცნებაში. მონადა ფილოსოფიური ტერმინია, რომელსაც იყენებენ არსებულის უმარტივესი, განუყოფელი ელემენტების აღსანიშნავად. მატერიალისტებიც იყენებდნენ ამ ტერმინს ანტიკურ ეპოქაში, შემდეგ იგი იდეალისტურ ფილოსო-

ფიაში დამკვიდრდა ატომის საპირისპირო ელემენტარული სულიერი პრინციპის აღსანიშნავად. სავარაუდოა, რომ მიხაკო წერეთელი ამ ცნების გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცისეულ გაგებას ეყრდნობა, რომლისთვისაც მონადა გამოდის რეალობის საწყისად. მონადა არის მარტივი სუბსტანცია, რომელიც შედის რთულ სუბსტანციებში. ის, რომ მონადა რთულ სუბსტანციებში შედის და მის გარეშე ვერ წარმოიშობა რთული სუბსტანცია გულისხმობს იმას, რომ ერის გარეშე ვერ წარმოიშობა მასზე რთული სუბსტანციები, რომელთა რიგებში უნდა მოვიაზროთ სახელმწიფოც. ერის არსებობა საჭიროა სახელმწიფოს შესაქმნელად. ჯერ იქმნება ერი და ერი ქმნის სახელმწიფოს, რომელიც განამტკიცებს და აძლიერებს ერის არსებობას. მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა, რომ ვერანაირი კლასთა ბრძოლა ვერ შლის ეროვნულ ერთობას, რადგან ის განუყოფელი მონადაა. ეროვნული ორგანიზმი იმდენად ძლიერია, რომ ის ხალხიც, რომელსაც ოდესმე ჰქონია ერი ცდილობს ხელახლა შექმნას ნამდვილი ერი. ამით აიხსნება დაპყრობილი და დაქუცმაცებული ხალხის სწრაფვა ეროვნული თვითგამორკვევისაკენ.

მიხაკო წერეთლის აზრით, ერი იქმნება იქ, სადაც ელემენტარული სოციალური ორგანიზმები ერთმანეთს ემსგავსება სხვადასხვა სფეროებში მიმბაძველობის გამო, ამის შედეგად კი ჩნდება საერთო ორგანოები და ფუნქციებიც, ყველაზე ბოლოს პოლიტიკური ფუნქცია ყალიბდება და ეს უკვე ერის წარმოშობასაც ნიშნავს, რომელიც მომავალში სახელმწიფოს არსებობით დაგვირგვინდება. (წერეთელი, 1990, გვ. 76)

ერი არის კონკრეტული საზოგადოება. მიხაკო წერეთელი ეთანხმება დე გრეფის აზრს და საუბრობს იმაზე, რომ ყოველი ერისათვის დამახასიათებელია სოციალური ორგანოები - ეკონომიკური, სოციალური და სხვა მიმართულების. ერებს ინტერნაციონალური ორგანოებიც აქვთ ერთმანეთან კავშირების დასამყარებლად. მიხაკო წერეთელი ხაზს უსვამს სახელმწიფოს მნიშვნელობას ერის ჩამოყალიბებაში. სახელმწიფო დიდ როლს ასრულებს რასების შეკავშირების პროცესში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ერის ერთადერთი შემქმნელი ელემენტია. სახელმწიფოსთან ერთად სხვა მრავალი ფაქტორია ერის წარმოშობის ხელშემწყობი: მუდმივი ეკონომიკური ურთიერთობა, კულტურული კავშირი, საერთო რელიგია. სახელმწიფო ამ

ნაწილებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარების ხელშემწყობი უფროა.

ამავე დროს ისტორიის მაგალითები გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ერის გადაგვარება. მიხაკო წერეთელი ამ პროცესს ერის ორგანოების დაკარგვით ხსნის. იმდროინდელი თეორიების თანახმად, ერი რამდენიმე ორგანოსაგან შედგება (დე გრეფის მიხედვით შვიდისგან, თუმცა ეს რიცხვი მერყევია. სოციოლოგების მეორე ნაწილი სხვა რაოდენობას ასახელებს). ეკონომიკური ორგანო ყველაზე უფრო მარტივია, მაგრამ რთულია გასაქრობად, ხოლო პოლიტიკური ორგანო ყველაზე მეტად რთულია და სპეციფიკური. უმეტეს შემთხვევებში ერის გადაგვარება იწყება ამ ორგანოს ატროფიით, რაც მთავრდება ეკონომიკური ორგანოების გაქრობით. ამას მოჰყვება ხალხის და ტერიტორიის გაქრობა. მიხაკო წერეთელს მოჰყავს საქართველოს მაგალითი, რომელმაც ჯერ პოლიტიკური ორგანო დაკარგა და მის თანამედროვე ეპოქაში საქართველო თანდათან მიდიოდა საკუთარი სოციალური ორგანიზმის განადგურებამდე. ერთი ფაქტია მნიშვნელოვანი - სახელმწიფოს გადაგვარება პოლიტიკური ორგანოების განადგურებას ნიშნავს. თუმცა ამ ეტაპის შემდეგ ერი მაინც აგრძელებს ფუნქციონირებას. ერის სრული განადგურება განსაზღვრული სოციალური ორგანიზმის დაშლას გულისხმობს, თუმცა ამ ორგანიზმის დაშლის შემდეგაც ხალხი, როგორც სოციალური მასალა რჩება. ხალხის სოციალურ მასალად წარმოჩენა გულისხმობს იმ საფუძველს, რომელზეც შენდება ერი. ამ მიმართულებით მსჯელობის გაგრძელება მიგვიყვანს იმის აღიარებამდე, რომ ხალხი უფრო მარტივი მონადაა, რომელიც ერს, ანუ უფრო რთულ მონადას ჰქმნის. ხალხის მონადად დასახვა ერის და ხალხის მნიშვნელობის გათანაბრებამდე ხომ არ მიგვიყვანს? ამის დასაზუსტებლად მიხაკო წერეთელი ხშირად იმეორებს, რომ ხალხს აღიქვამს, როგორც ერის სოციალურ მასალას, მაგრამ თუ ხალხი არ არის ისეთ პირობებში, რომ შეადგინოს ერი, მისი მთავარი ფუნქცია დაკარგულია და ის ნახევრად მკვდარ სოციალურ მონადად გვევლინება. გამოდის, რომ ხალხის ცოცხალ მონადად გარდაქმნა ხდება მხოლოდ ერთან ურთიერთმიმართებაში. სწორედ ამიტომ, ერი არის პირველადი, მარტივი მონადა. (წერეთელი, 1990, გვ. 98-101)

მიხაკო წერეთლის მხრიდან ერის, როგორც მონადად, ანუ საწყის სუბსტანციად, დასახვამ შეიძლება საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აფიქრებინოს, რომ ის ნაციონალიზმის პრიმორდიალისტური თეორი-

ების გამზიარებელთა რიგებშია, რომლის მიხედვითაც ერები და ნაციონალიზმი ისეთივე ხანგრძლივი ისტორიის ფენომენია, როგორც თვითონ კაცობრიობა. პრიმორდიალისტების მოსაზრებით, ეროვნება, ეროვნულობა ადამიანთა არსებობის ბუნებრივი ფორმაა. გამოდის, რომ ეროვნებას პიროვნებისგან დამოუკიდებლად არსებობაც ახასიათებს, რომელიც თავისთავად მოცემული ფენომენია. (დავითაშვილი, 2003, გვ. 89)

მიხაკო წერეთელი თვლის, რომ ერის კონკრეტული საწყისის ძიება არაა მნიშვნელოვანი. მეტად საყურადღებოა ის, რომ საზოგადოებრიობა კაცობრიობის დასაბამიდან არსებობდა. ამ საზოგადოებრიობათა რიცხვში შეჰყავს თუ არა მიხაკო წერეთელს ერი, როგორც საზოგადოებრიობის კონკრეტული ფორმა, ბუნდოვანია. მიხაკო წერეთელი მკაფიოდ აყალიბებს იმ აზრსაც, რომ: *„ერი არ არის რაღაც პირველყოფილი სოციალური არსი, რომელიც მუდამ არსებობდა, არსებობს და იარსებებს აგრეთვე იმ ფორმით, როგორითაც იგი აწმყოშია: მას ჰქონდა თავისი დასაბამი, მან განვლო თავისი განვითარების პროცესსი თანამედროვე ხანამდე, იგი რასაკვირველია მომავალში ფორმას იცვლის“.* (წერეთელი, 1990, გვ. 96)

ერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სოციალური ფორმების შინაარსით. თვით ფორმები ყველა ერისათვის საერთოა, მაგრამ თითოეულ ერში ისინი განსაკუთრებულ ხასიათს იძენენ. ამის უკეთ გასაგებად მოაქვს მაგალითი: ყველა ერს ახასიათებს ენის მარკერი, თუმცა სხვადასხვა ერი განსხვავებულ ენაზე საუბრობს, მაგრამ ენის ნიშანი ხომ ყველასთვის დამახასიათებელია, ანუ სოციალური ფორმა ამ შემთხვევაში ენაა, ხოლო სხვადასხვა ენის არსებობა სხვადასხვა ერში უკვე სოციალური ფორმის შინაარსის განსხვავებაა. (წერეთელი, 1990, გვ. 14-15)

პრობლემურია საკითხი, რასაც სოციალური ფორმების შინაარსის დამთხვევა ჰქვია. მაგ. როდესაც ერთ ენაზე საუბრობს ორი ან მეტი განსხვავებული ერი. ამ კონტექსტში მიხაკო წერეთელი მხოლოდ რელიგიის მაგალითს განიხილავს და ფიქრობს, რომ ერთი რელიგიაც რომ ჰქონდეს ერებს, ის სხვადასხვა ერში განსხვავებულ ელფერს შეიძენს: *„კათოლიციზმი პოლონეთში, საფრანგეთში და იტალიაში ერთი და იგივე არ არის“.* (წერეთელი, 1990, გვ. 97)

იმ ცნებებს შორის, რომელსაც მიხაკო წერეთელი განიხილავს ერთ-ერთია სამშობლო. საყურადღებოა, სამშობლოსა და ერის მიმარ-

თების საკითხი. მიხაკო წერეთელი ხაზს უსვამს იმას, რომ ერის არსებობა სავსებით შესაძლებელია სამშობლოს დაკარგვის შემდეგაც. ესაა განადგურებას გადარჩენილი ხალხი უტერიტორიოდ, მაგრამ აქ, ავტორი მთავარ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას: ერი, რომელსაც არ აქვს სამშობლო ვერ გახდება საერთაშორისო სამართლის ობიექტი, დამოუკიდებელი სოციალური არსის მქონე. ეს შეხედულება პირველად რუდოლფ შპრინგერმა ჩამოაყალიბა, რასაც ეყრდნობა და იზიარებს მიხაკო წერეთელიც. საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელია. ის არ ითვალისწინებს ერთა შორის ურთიერთობათა დარეგულირებას. მიხაკო წერეთლის თქმით, საერთაშორისო სამართალი აღიარებდა მხოლოდ სახელმწიფოების უფლებებს და არა ერის უფლებას, რომელიც შეიძლება შელახული იყოს სწორედ სახელმწიფოს მიერ. საერთშორისო სამართალი სწორუფლებიან წევრად არ აღიარებს ისეთ ერს, რომელსაც არ აქვს სუვერენული სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, ეროვნულობის შენარჩუნების მთავარი საშუალება ტერიტორიის შენარჩუნებაა. (წერეთელი, 1990, გვ. 141)

შევაჯამოთ ის შინაარსი, რასაც გულისხმობს მიხაკო წერეთელი ერის ცნებაში - ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი, შემდგარი მრავალი ეთნიკური და სოციალური ჯგუფისგან, რომლებსაც შეუძლიათ დროის გასვლის შემდეგ შექმნან ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრების შემადგენელი ერთეულები, შექმნან ერთი საზოგადოება თავისი ინდივიდუალური ორგანოებით: ენით, მეცნიერებით, ეთიკით, ხელოვნებით, სამართლით და პოლიტიკით.

მიხაკო წერეთელი ქართველი ერის შესახებ

მიხაკო წერეთლის შეხედულებით, შეიძლება იდეურად ანარქისტი იყოს ადამიანი, მაგრამ ამავე დროს იცავდეს ეროვნულ საზოგადოებას, რადგან ყოველი ერი კონკრეტული საზოგადოებაა, რომელმაც უნდა განახორციელოს თავისი შემოქმედებითი სოციალიზმი, თავისი არჩევანით შეუერთდეს თავისუფალ სხვა ერებს და ამით შექმნას საკაცობრიო ინტერნაციონალი. თუ თავად ერი გაქრა, გაქრება მისი შემოქმედებაც, მაშასადამე ანარქიზმი/ინტერნაციონალიზმიც ვერ განხორციელდება. ამიტომ, პირველ რიგში, თვით ერი უნდა იყოს დაცული და თუ დაცვის პროცესს ანტი-ანარქისტული თუ ანტი-ინტერნაციონალისტური ქმედება დასჭირდება ის უყოყმანოდ უნდა გან-

ხორციელდეს. თუ შენ იბრძვი შენი ერისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ შენი იდეოლოგიისთვისაც იბრძვი, რადგან ერის გარეშე სამომავლო იდეალი ვერ განხორციელდება. თუ ერი გაქრა, ან თუ გაითქვიფა სხვა ერში, მივიღებთ ხალხის ერთ ამორფულ მასას, რაც არც ერთი ქართველის, განურჩევლად პოლიტიკური იდეოლოგიისა, ინტერესებში არ შედის.

ინტერნაციონალიზმით გატაცება 1860-იანი წლებიდან პოპულარული იყო მთლიანად ევროპაში. საქართველოც არ იყო გამონაკლისი. მიხაკო წერეთელი შენიშნავდა, რომ განსაკუთრებით იმ ერთა შორის იყო პოპულარული ინტერნაციონალიზმი, სადაც ეროვნული საკითხი უკვე გადაწყვეტილი და მოგვარებული იყო. ხოლო დაპყრობილ ერებში სხვა მოძრაობა იყო ინტერნაციონალიზმზე მეტად მნიშვნელოვანი - ეროვნული მოძრაობა. ევროპის დაჩაგრული და დაპყრობილი ერები მხოლოდ განთავისუფლების შემდეგ შეუერდნენ საერთო ინტერნაციონალიზმით და სოციალიზმით გატაცებას. როგორც ვხედავთ, საქართველო იმ გამონაკლისთა რიცხვში იყო, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ეროვნულ მოძრაობაზე პრიორიტეტული სოციალური მოძრაობა გახდა. პოლიტიკური ელიტიდან სოციალური მოძრაობების მხარდამჭერად სოციალ-დემოკრატები გამოდიოდნენ. ისინი აქტიურად ცდილობდნენ საზოგადოების მობილიზებას და სოციალური რევოლუციისთვის მათ მომზადებას. (წერეთელი, 1990, გვ. 22)

სოციალ-დემოკრატები საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატების ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული პრობლემისადმი განაპირობებდა საზოგადოების გარკვეული, არც თუ ისე მცირე, ნაწილის ნეიტრალურ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. სოციალ-დემოკრატებს მიხაკო წერეთელი „გარუსებაში“ ადანაშაულებდა, მაგრამ სწორედ ეს „გარუსება“ იყო მათთვის ინტერნაციონალიზმი. (წერეთელი, 1990, გვ. 32)

მნიშვნელოვანია ის ხარვეზები, რაც მიხაკო წერეთლის აზრით, სოციალისტებს ახასიათებდათ. მისი შეხედულებით, სოცილისტების უმთავრესი შეცდომა სოციალური იყო. ისინი განიხილავდნენ ერს არა როგორც სოციალურ ორგანიზმს, არამედ როგორც კლასებისგან შემდგარ საზოგადოებას და ხედავდნენ მეტ კავშირს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარებს შორის, ვიდრე ერთი ერის ყველა წევრს შორის. მიხაკო წერეთლისთვის მიუღებელია ერის განვითარების გაანალიზებისას მხოლოდ ეკონომიკურ მხარეზე აქცენტი. სოციალიზმი შეეხება უმთავ-

რესად ერის ეკონომიურ წყობილებას, მაგრამ ერს ფუნქციონირებისათვის ეკონომიკური მიმართულების გარდა სჭირდება სხვა ორგანოებიც. (წერეთელი, 1990, გვ. 127)

დასკვნა

მიხაკო წერეთლისთვის ერი მონადა, ანუ რეალობის საწყისია. ერი ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმია, შემდგარი მრავალი ეთნიკური და სოციალური ჯგუფისგან, რომლებსაც შეუძლიათ დროის გასვლის შემდეგ შექმნან ერთი საზოგადოება თავისი ინდივიდუალური ორგანოებით: ენით, მეცნიერებით, ეთიკით, ხელოვნებით, სამართლით და პოლიტიკით.

ერის ცნების მსგავს განმარტებებს სხვა ავტორებთანაც ვხვდებით, განსაკუთრებით ე.წ. იტალიურ სკოლასთან, მათ აერთიანებთ ის, რომ ასეთი სახის დეფინიციაში, თითქოს, ყველაფერია ნათქვამი და მეტის დამატება აღარ შეგვიძლია და თან არაფერი არ არის ნათქვამი. მიხაკო წერეთელი ერის ცნების განმარტებისას ხაზს არ უსვამს იმას, თუ რომელი ნიშანია მეტად და აუცილებლად დამახასიათებელი ერისათვის.

პრობლემურია ის საკითხიც, რომ ესა თუ ის ორგანო ხშირად იდენტურია ორი და ორზე მეტი ერისათვის. მაგ. ენა. რა მდგომარეობა გვექნება თუ ერს არ აქვს მკაფიოდ შემუშავებული და გამოყოფილი სხვა ორგანოები გარდა ენისა. მიხაკო წერეთელი ასეთი გამონაკლისის მაგალითად მხოლოდ სარწმუნოებას განიხილავს, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ერში მსგავსი იყოს. სხვა ორგანოების მსგავსებაზე ის არ საუბრობს.

მიხაკო წერეთელს სურდა ორგანიციზმის დაძლევა, ამიტომ თავად ერის ორგანიზმთან ანალოგია მხოლოდ ახსნის პრინციპად გამოაცხადა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საზოგადოება ორგანიზმია. ეს არ იყო მხოლოდ ანალოგია, არამედ საზოგადოება მასთან პირდაპირ არის გაგებული, როგორც ორგანიზმი. შესაბამისად ორგანიციზმი მიხაკო წერეთელთან ძალაში რჩება.

ამ ბუნდოვანი საკითხების მიუხედავად ვერ უარვყოფთ *„ერი და კაცობრიობის“* მნიშვნელობას. ის საქართველოში შექმნილი პირველი სოციოლოგიური გამოკვლევაა, რომელშიც ანალიტიკურადაა განხილული ერის და კაცობრიობის კატეგორიები. ნაშრომი ეყრდნობა იმ დროს ევროპაში არსებულ ერის თეორიებს. საქართველოში მიმდინარე

იდეოლოგიური დაპირისპირების და ინტერნაციონალიზმის პოპულარული იდეების ფონზე *„ერი და კაცობრიობა“* არის ნაშრომი, რომელიც მკითხველს ერის რეალურ მნიშვნელობას აჩვენებდა და ეხმარებოდა საზოგადოებას ეროვნული საკითხის მნიშვნელობის გააზრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: "მეცნიერება".
- ერქომაიშვილი, ვ. (2000). *ერი და იდეოლოგია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩხენკელი, ა. (2000). *ერი თუ კაცობრიობა.* თბილისი: მერიდიანი.
- წერეთელი, მ. (1990). *ერი და კაცობრიობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ხუნდაძე, ს. (1926). ეროვნული პრობლემის გარშემო. *"მნათობი".*
- სამსონია, ნ. (2014). მიხაკო წერეთელი. *ჩემი სამყარო.*

Mikhako Tsereteli and the conceptualization of Nation in Georgia in the Early 20th Century

(“Nation and Mankind”)

Abstract

The concept of nation by Mikhako Tsereteli is important for several reasons: 1) Anarchists represented extreme left-wing of Georgian society and political sphere. Certain anarchistic ideas as a form of socialist doctrines have begun to exist in Georgia since the 1860s. Mikhako Tsereteli belonged to the group of anarchists, who always considered the concept of nation as prime and prioritized in spite of ideological views. Mikhako Tsereteli was a clear and rare example of how a Georgian thinker preferred to deal with a national problem existing in Georgia rather than his political ideology; 2) Mikhako

Tsereteli's opinion about the concept of nation is extremely important, because he is the author of the first sociological research in Georgia – *"Nation and Mankind"* (1910), in which the author tries to analyze the categories of nation and mankind and it finally leads us to the fact, that Mikhako Tsereteli denies the phenomenon of man and admits original nature of the phenomenon of nation; 3) It is worth noting, that Mikhako Tsereteli was greatly influenced by his contemporary European thinkers, especially sociologists. While formulating the concept of nation, he scrutinizes the theories of nation existing in Europe and forms his own concept of nation on account of criticizing or partially agreeing with the different thinkers' viewpoints such as Salomon Reinach, Ernest Nys, Pasquale Stanislao Mancini, Johann Kaspar Bluntschli, Ernest Renan, de Greef, René Worms, Tard, Otto Bauer, Rudolf Springer. There is no doubt, that Mikhako Tsereteli studied the European theories of nation and created "Nation and Mankind" based on them, which doubles the interest towards the author.

Key words: Mikhako Tsereteli, the concept of nation, the theories of nation, national issue.